ხელშეკრულება №100
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი 06 ივნისი 2019 წელი

ერთი მხრივ, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თემურ ჩუბინიძის სახით (რეკვიზიტები: მისამართი: ქ. ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი N3, საიდენტიფიკაციო კოდი:219636259, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში)

და მეორე მხრივ შ.პ.ს. „ელო 07“ (შემდგომში - მომწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის ნათია ფერაძის სახით (რეკვიზიტები მისამართი: ქ. ქუთაისი, იერუსალიმის ქ. #1, საიდენტიფიკაციო კოდი: 212777146, მომსახურე ბანკი სს "საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი BAGAGE22, ანგარიშის ნომერი GE88BG0000000181781300)

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება)

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. შესყიდვის ობიექტია ერთი ერთეული მაცივარის მიწოდება ხელშეკრულების დანართის შესაბამისად. (შემდგომში „საქონელი“).

CPV კლასიფიკატორის 42512200.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 800,00 (რვასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარისწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი და საგარანტიო პირობები

4.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მირება-ჩაბარების აქტის ხელისმომწერი პირია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ ჩუბინიძე.

4.3. შესყიდვის ობიექტზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან ხელშეკრულების დანართში მითითებული ვადების შესაბამისად.

4.4. მიმწოდებელმა საგარანტიო ვადის პერიოდში გამოვლენილი წუნდებული საქონელის შეკეთება ან/და ახლით შეცვლა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება მისამართზე ქ. ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი №3

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 10 ივნისამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1.შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსიალია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მომწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან გაავრცელოს გარანტია ხელშეკრულების დანართში მითითებული ვადის განმავლობაში. საგარანტიო პერიოდში შესყიდვის ობიექტის რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გამოსწორება დაუყონებლივ. (გასწიოს საჭირო მომსახურება და/ან ახალი შესყიდვის ობიექტის მიწოდება) შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ანაზრაურების გარეშე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წინდების მიზეზების მითითებით.

7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,02%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

8.4. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წიინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონელზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთნხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქათველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 06 ივნისიდან მაისიდან და მოქმედებს 2019 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით.

ხელშეკრულების დანართი

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ღირებულება	საგარანტიო ვადა
1	მაცივარი hisense RD-30wc4sa	1	800,00	2 წელი
	მთლიანი ღირებულება		800,00	